სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“

გაცნობებთ, რომ დაგეგმილია სს „თამ“ თბილავიამშენის (ს/კ 208144541) რეორგანიზაცია/შერწყმა შპს „თბილავიამშენთან“ (ს/კ 206125496). როგორც მოგეხსენებათ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტით **„შერწყმაში/გაყოფაში მონაწილე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია სააქციო საზოგადოების აქციონერთათვის უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციის შენობაში ან სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ანდა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ვებგვერდზე შერწყმის/გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად მოწვეული საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ ცოტა 30 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს.“**

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოაქვეყნოთ სს „თამ“ თბილავიამშენის აქციონერთა განმეორებითი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, კომპანიის რეორგანიზაციის/შერწყმის შესახებ.

დანართი: განცხადება კრების მოწვევის შესახებ,

შერწყმის გეგმა,

შერწყმის ანგარიში,

წესდების პროექტი,

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში,

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (პერიოდების მიხედვით),

მოგება-ზარალის ანგარიშგება,

აუდიტის დასკვნა და მისი დანართი,

პატივისცემით,

Mikheil Oglishvili 01018002253 Digitally signed by Mikheil Oglishvili Date: 2025.04.16 13:51:25

გენერალური დირექტორი მიხეილ ოღლიშვილი